№ 106
მაისის 22, ოთხშაბათი, 1902 წ.
1877

# ივერია

1902
№ 106
მაისის 22, ოთხშაბათი, 1902 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

მაისის 16-დგან „ივერიის" რედაქცია გადმოვიდა სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, გალერეია №№ 117 და 118, თ. გრ. ნ. დიასამიძის სტამბის გვერდით. (10—5)

## გაზეთი „ივერია",

**რომლის გამომცემელია დღეს თ. ი. გ. ჭავჭავაძე,**

გადადის საკუთრებად „ივერიის" ამხანაგობის ხელში.

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, დიმიტრი გრიგოლის-ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის" რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა. (10—10)

## პირველ მაისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია"

ღირს შვიდ მანეთად და ხუთ შაურად (7 მ. 25 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**ხელის მოწერა მიიღება:**

**ტფილისში:**—„ივერიის" რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
**ქუთაისში:**—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
**ბათუმში:** მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).
**ბაქოში:**—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
**ხონში:**—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа".

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**, აცნობებს-რა გარდაცვალებას თვისის წევრად ყოფილის

## ევგრაფი იაგორის ძის ხოსროევისას,

სთხოვს ყველა თანამოსამსახურეთ და პატივის ცემის მსურველთ მობრძანდნენ პანაშვიდზედ დასასწრებლად, რომელიც გარდახდილი იქნება ტფილისის საბჭოს დარბაზში დღეს, 22 მაისს, შუადღის 12 საათზედ. (1—ნ.—1)

1902 წ., მაისის 26 დღესა,

**სათავად-აზნაურო ბანკის ბაღში გაიმართება**

## სეირნობა სამადლო ბაზრითა

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების ღონისძიებათა გასაძლიერებლად. ბაზრობა იქნება ნაშუადღევის 3 საათიდგან საღამოს ათ საათამდე. იქნება ცეკვა, საყმაწვილო გასართობი და სურპრიზები.

ბაღში დაუკრავს მუსიკა ორ გუნდად და ზურნა. შემოწირულება უნდა გაეგზავნოს კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას (ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 21).

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

**მაღალაშვილი**

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლებსი ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

**მაისის დამლევს დაიწყობა**

## არტისტიული მოგზაურობა

ტფილისის ქართულ დრამატიულ დასისა

**ვალერიან გუნიას გამგეობით**

მსახიობნი ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, გივიშვილი, ბ-ნნი: გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, იმედაშვილი, ივანიძე, ბეგლარიძე, ყალამბეგაშვილი და სხვანი.

**დროგამოშვებით მოწვეული იქნება ვლ. ალექსი-მესხიშვილი**

დასი თითო ან ორ-ორ წარმოდგენას გამართავს შემდეგ ადგილებში: ქუთაისში, ხონში, ბათუმში, ფოთში, სოხუმში, ოზურგეთში, ახალ-სენაკში, სამტრედიაში, ყვირილაში, ჭიათურაში, დუშეთში, კავკავში, ბაქოში, ალექსანდრეპოლში, განჯაში და ყარსში.

ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწდომი იქნება, პიესები ახალი და მოწონებული საზოგადოების-მიერ წრევანდელ სეზონში. პირველი წარმოდგენა დაიწყება ქუთაისიდან.

რეჟისორი და გამგებელი ვალ. გუნია.

**„ქართულ დრამატიულ საზოგადოების"**

გამგეობა აცხადებს, რომ იგი ნიშნავს

## ორს პრემიას 200 მან. და 100 მან.

ქართულ დრამატიულ ნაწარმოებთა დასაჯილდოებლად.

პრემიის პირობები შემდეგია:

1) საპრემიოდ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალი, დაუსტამბავი და სცენაზედ დაუდგომელი.

2) პიესა უნდა შეიცავდეს სამს მოქმედებაზედ არა ნაკლებს.

3) პიესა უნდა გამოიგზავნოს „ქართულ დრამატიულ საზოგადოების" გამგეობის სახელზედ რაიმე დევიზის ზედ-წარწერით; პიესასთან ერთად უნდა წარმოდგენილი იყოს დაბეჭდილი კონვერტი, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი.

შენიშვნა: კონვერტი გაიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პიესა ცნობილი იქნება პრემიის ღირსად.

4) პიესის საპრემიოდ წარმოდგენის ვადა თავდება პირველს ოქტომბერს 1902 წ.

5) „დრამატიულ საზოგადოების გამგეობას" ორის წლის განმავლობაში განსაკუთრებული უფლება აქვს პრემიით დაჯილდოვებულ პიესის წარმოდგენისა სცენაზე.

6) დაჯილდოვებულ პიესის ავტორს მიეცემა ჰონორარად თითოეულ წარმოდგენის მთელის შემოსავლის 5 პროცენტი.

7) შედეგი პიესების კონკურსისა გაზეთებში იქნება გამოცხადებული. (3—უ.—1)

**ქართველ ქალთა**

## ამხანაგობა

სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკრავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა № 12.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**კ. ი. გძელიშვილი.** 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

**გ. ა. თარხანოვი.** 7—7½ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა 9—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

**ე. გ. ფედოროვი**—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

**კ. მ. ელიოზიშვილი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

**ა. გ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

**სტ. ა. ვოინო**—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

**გ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

**კვირაობით:**

**გ. გ. მაღალაშვილი**—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

## მეურნეობის გაუმჯობესების საშუალებანი.

ჩვენის მეურნეობის წარმატებას ორი მძლავრი მტერი ჰყავს: უპირველესად ყოვლისა თვით მეურნენი და მერე—მათის დაუდევრობის მიზეზით გაჩენილი ჯარი მაწანწალა ჩარჩებისა, რომელთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს, რადგანაც მათ წინააღმდეგ ჯერ არა ვიღონეთ-რა, გარდა ორიოდე დაწესებულებისა ამერ-იმერ საქართველოში.

დაწვრილებით არ ვიცი რა გავლენა აქვთ ჩარჩებს ქართლ-კახეთის მეურნეობაზედ, იმერეთში-კი ისინი სწორედ მეფობენ: ხელში ჰყავთ ჩავარდნილი ჩვენი გლეხობაცა და თავად-აზნაურობაც. სიმინდი და ღვინო, ყურძენი და ხილი, პარკი და აბრეშუმი, ფრინველი და კვერცხი, ბოსტნეულობა და ყოველნაირი ნაწარმოები მეურნისა ჩარჩების ხელს ვერ ასცილდება. მათს ხელშია ბაზარი და ფასსაც ისინი სდებენ. ამ ხუთიოდე წლის წინად ჩარჩები ცალკ-ცალკე მოქმედებდნენ და თითოეული მათგანი ჰფიქრობდა ოსტატურის წაფცქვნით და მემამულის მოტყუებით კონკურენცია გაეწია თავის ამხანაგისათვის, მაგრამ ამ ბოლო დროს იმათაც ეწვია განათლება: ისინიც აარსებენ პატარ-პატარა ამხანაგობას (3—5 კაცი ერთად), იჩენენ უსაქმურ ხალხს აგენტებად, რომელთა შორის 12—15 წლის ყმაწვილებიც ურევია და შეერთებულის ძალითა და კაპიტალით სულს ართმევენ მემამულეებს.

ამ ვაჟბატონების ზოგიერთი მოქმედება კაცს განცვიფრებაში მოიყვანს. აი რამოდენიმე მაგალითი: აბრეშუმის თესლის გამყიდველი აჩეჩებს ხელში დედაკაცს თავისს უვრგის საქონელსლამაზ, სხვა-დ-სხვა ნაირად აჭრელებულ კოლოფებში. თესლების თვისების დასამტკიცებლად აგენტი უხსნის სურათების მნიშვნელობას და ტვინს უბნევს დედაკაცებს: „ეს საფრანგეთის ხელმწიფის ბეჭედიაო; ეს მაშინა არისო (უჩვენებს მიკროსკოპის სურათს), რომლითაც საუკუნოთ განიკურნება ამ თესლებიდგან გამოსული ჭიაო; ეს თუთის ფოთოლია, რომლითაც ეს ჭიები უნდა გამოზარდოთ. ეს თესლი ისეთი ძვირფასია, რომ მისი ყიდვა თქვენ გაგიჭირდებათ, მაგრამ მე წელს იაფად დაგითმობთ,—ორ მანეთ ნახევრად კოლოფს (ღირს-კი მანეთი),—ფულსაც მერმე გამოგართმევთ. თითო მისხალი მოგცემს, თუ კარგად მოუარეთ, ფუთზე მეტს პარკს. სამაგიეროდ თქვენ ყველა პარკები მე უნდა მამყიდოთ და თესლის ფული უნდა დამიბრუნოთ ერთი აბაზით მეტი, ე. ი. ორი მანეთი და თოთხმეტი შაური".

გადის დრო და დედაკაცი თავის ქალიშვილებით თავს ამტვრევს ჭიების ზრდას. თესლიდგან გამოსვლის დროს ნახევარი ჭია იხოცება და მესამედიც, თუ მეტი არა, პარკის გაკეთების დროს. პარკი მოდის ცოტა და ისაც საძაგელი. ბოქაული-კი მოდის თავის დროზედ, პარკს არ ყიდულობს, ფულს სრულად ართმევს და, თუ წინააღმდეგობა გამოუჩინეს, საქმეს სასუდოთ ხდის.

ჩარჩი გლეხის დედაკაცებს ეუბნება: ამდენი და ამდენი ქათმის კვერცხი მომიტანეთ, ასში ექვს აბაზს მოგცემთო. გამყიდველი რომ საქონლით მოვა, ჩარჩი კვერცხებს არჩევს და ასში ოცს მაინც განგებ უვარგისად სცნობს, დანარჩენს ან პატარაებად, ან თხელ ნაჭუჭიანებად და დიდის დავი-დარაბით ყიდულობს ასს ოთხმოცათ და იმასაც თითოს თითო კაპეიკად; თითონ-კი ჰყიდის მანეთ ნახევრად, ან რვა-ცხრა აბაზად მის მიერ დაწუნებულს ასს. ამ ნაირსავე ამბებს ვხედავთ სხვა ჭირნახულის აღებ-მიცემაში.

არც ქალაქელებს აყრიან ხეირს ჩარჩები: სოფელში გროშად ნაყიდ მასალაში სამ-ოთხჯერ მეტს ფასს ვაძლევთ ამ ბატონებს. ათასნაირად გადამახინჯებული ღვინო სხვა-და-სხვა წამლებითა და ფერადებით; ხორცის მაგიერ, ძვალი და ტყავი; გამხდარი ფრინველობა; სანახევროდ ლაყე კვერცხები; დაძველებული, მაგრამ წყლით კიდევ ოდნავ სიცოცხლე შერჩენილი მწვანილი, მამასისხლის ფასად ნაყიდი—აი ჩვენი სუფრა. უკმაყოფილოდ რჩება მწარმოებელი, სოფელი; უკმაყოფილოდ ფულს ჰფანტავენ მყიდველი მოქალაქენიც. არც ერთი ზრუნავს საქმის გაუმჯობესებაზედ, არც მეორე, ქინდრს ისუქებს-კი ჩარჩი.

რა ძნელი ასატანია ეს უსამართლობა, რომელიც ძირს უთხრის ჩვენს ერთად-ერთს ცხოვრების წყაროს,—მეურნეობას, მეტადრე როცა ჰხედავ, რომ შემაფერხებელი მიზეზი ადამიანია და არა სტიქიონი! რა ძნელია, როდესაც ნაოფლარის და დახეთქილის ხელების ნაწარმოები გროშად უვარდება ხელში ქინდრ გასუქებულს ჩარჩს და მისგან-კი გაორ-ოთხკეცებულ ფასად ნამდვილ მყიდველს! განა, არ შეიძლება, თვით მწარმოებელმა რიგიანის ფასით ჩააბაროს თავის შრომის ნაყოფი პირ-და-პირ მყიდველს უჩარჩოდ? განა, მოსათმენია ეხლანდელი წესი აღებ-მიცემობისა, როცა თითოეულს ჩვენთაგანს კარგად ესმის შრომის ფასი? მართალია, ეხლანდელი წესი მარტო ჩვენის ქვეყნის ხვედრი არ არის, იგი სუფევდა ევროპაშიაც და ეხლაც დარჩა მივარდნილ კუთხეებში, მაგრამ ჩვენ შეგვეძლო ამით ცოტად გვენუგეშნა თავი, თუ ევროპაში და ამერიკაში წინააღმდეგი წესი არ გაეჩინათ თვით მემამულეებს, ან მოქალაქეებს.

სადაც ყველა შრომობს და ესმის შრომის ფასი, პარაზიტებს, ჩარჩებს, ახლოც არ მიუშვებენ. მწარმოებელს სახლში მოუდის ნამდვილი მყიდველი, რომელმაც თვითონ უნდა მოიხმაროს ნაწარმოები. ან არა და მწარმოებელი მიდის მყიდველთან, თუმცა ეს უფრო იშვიათია. მწარმობელმა, ე. ი. სოფლელმა, მემამულემ თითონ უნდა დასდოს ფასი და იმას უნდა ემორჩილებოდეს მყიდველი და არა ჩარჩს, რომელიც მოწადინებულია მანეთს ორი მანეთი მოაგებინოს, მწარმოებელს და მყიდველსაც ტყავი გააძროს. თვით მწარმოებელი უნდა იყოს რეგულიატორი, იმან უნდა გამოიწვიოს მოთხოვნილება. მაშინ და მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩვენის მეურნეობის წინმსვლელობა, ჭირნახულის რიგიანი აღებ-მიცემობა, მოსაგებ ბაზრის მოპოვება. ამისთვის ჩვენ უნდა მივბაძოთ ისევ უცხოელებს და ცოტაოდენის ცვლილებით შემოვიღოთ ის წესი, რომელიც

საჭიროა შემაფერხებელ მიზეზების მოსასპობად.

რადგანაც ჩემის წერილის საგანი იყო ფრინველების მოვლა-მოშენება და მათის ჯიშის გაუმჯობესება, ამიტომ მე მხოლოდ იმ ნუ-ჩუმენტებზე მოვლაპარაკებ, რომელიც შეეხება ამ მეურნეობის დარგს. ჩვენი ახალი ბაზარი—უცხოეთი, და ჩვენი ქვეყანაც ეხლა თხოულობს უმეტესად კვერცხებს, ფრინველებს და ბუმბულს. ამ მოთხოვნილებას ცოტა ოდნად აკმაყოფილებს ჩვენი სოფლელი, თუმცა მისი წარმოების ტექნიკა პირვანდელი, მამა-პაპური მიმართულებისაგან ვერ ასცილებია. უცხოელებს ჩვენ ვასაღებთ ჯერ ჯერობით მხოლოდ კვერცხებს და იმასაც ნაკლებ ფასად; ხოლო რაც შეეხება ფრინველებს,—თუმცა უცხოეთში დიდი მოთხოვნილებაა ფრინველებზე,—ეს საქონელი მაინც არა აქვს გასავალი, რადგანაც ვერ აკმაყოფილებს უცხოელთა გასტრონომიულ გემოვნებას.

ამისთვის აუცილებლად საჭიროა დაარსონ ჩვენში მემამულეებმა სხვა-და-სხვა ადგილებში, ორი გვარი კოოპერაცია - ამხანაგობა: ერთ ამხანაგობას ექნება საგნად გაუმჯობესება ადგილობრივი ფრინველების ჯიშისა, მოშენება ფრინველების იმ ჯიშებისა, რომელიც საჭიროა ბაზრისა და სოფლისთვის და მოპოვება მყიდველისა. ხოლო მეორე კოოპერაციას ექნება საგნად მხოლოდ ფრინველების და მის ნაყოფის გაყიდვა წევრების საფრინველოებიდგან. ამ ამხანაგობას უნდა ჰქონდეს თავისი კანტორა, ან ჰყავდეს წარმომადგენელი იმ ქალაქებში, სადაც ნაწარმოები მიდის; ამას შეუძლია იქონიოს საქმე უცხოეთის დიდ ფირმებთან და უგზავნოს საქონელი მოთხოვნილების დაგვარად.

პირველ კოოპერაციად სასურველია იქნეს განყოფილება სრულიად რუსეთის სამეურნეო ფრინველების საზოგადოებისა, რომელიც მოქმედებს დიდის მთავარის პეტრე ნიკოლოზის ძის მფარველობის ქვეშ და რომელსაც უკვე აქვს დამტკიცებული წესდება თავის განყოფილებისათვის. ამ საზოგადოებას ეხლა ჰყავს რამდენიმე ათასი წევრი და 85 განყოფილება რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებში, სხვათა შორის, ქუთაისშიაც *).

ნ. მკურნალი.

(შემდეგი იქნება)

*) ეხლა კიდევ იხსნება რამდენიმე განყოფილება ამ საზოგადოებისა ჩვენში.

## შემოწირულება

**მ. ნ. გველესიანისაგან შეკრებილი**

,,წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების'' სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირეს:

მარიამ ივანეს ასულმა ჯავარიძისამ—ყვავილების ორი ვაზა, გიორგი ლევანის ძემ ქორქაშვილმა—ფრაჟეს ჭიქის ჩასადგმელი, თავ. კონსტანტინე პავლეს ძე თუმანიშვილმა ფრაჟეს სასუხრე, ღირებული 5 მან; ზაქარია პეტრეს ძემ კოკონაშვილმა— ფრაჟეს საშაქრე, ღირებული სამ მან., მარიამ დავითის ასულმა ანდრონიკაშვილისამ—6 ფაიფურის საყავე ჩაშკა თავის ფინჯნებით, ნატალია სტეფანეს ასულმა ფირალოვისამ -- სატუალეტო მოწყობილობა (სარკე და ორი ოდეკალონის შუშა), ნატალია რაჟდენის ასულმა გიგაურისამ საწერ სტოლზედ დასადგამი ზარა, ელენე პავლეს ასულმა კიზირიამ—ტყავის ჩასაწერი ალბომი სალომე ივანეს ასულმა კერესელიძემ—ტუალეტზედ დასადგამი სადავის პატარა ნივთი, რომელიც გემს წარმოადგენს; მარიამ ოტიას ასულმა ვარდოსანიძემ—ორი მოქსოვილი სალფეტკი, მარიამ იაკობის ასულმა გოგიელოვისამ—სამელნე, გასაშრობი და ერთი პატარა კოლოფი საწერლო მოწყობილობით (სამელნე დანა, ფანქარი და კალამი თავის ტარით), ნადეჟდა რაჟდენის ასულმა გიგაურმა—შავ შუშაზედ დახატული სურათი თავისის ჩარჩოთი, ელისაბედ ლუარსაბის ასულმა მეძმარიაშვილმა—როგოჟაზედ მოქარგული ნაჭერი სკამზედ გადასაკვრელად, ანნა ლუარსაბის ასულმა მეძმარიაშვილმა—მოქსოვილი სალფეტკი, ნინო ივანეს ასულმა კემულარიამ—სტოლზედ დასადგამი საათი; პეტრე ბესარიონის ძემ კიზირიამ—ორი სალფეტკის ფრაჟეს რგოლი, დავით ნიკოლოზის ძემ ავალიანმა საფერფლე, მელანია ლუარსაბის ასულმა გველესიანისამ—მოქარგული დივნის ბალიში.

# ტფილისი

✦ როგორც ამას წინადაც ვწერდით, კავკასიის მთავარ-მართებელი პეტერბურგს მიდის. მთავარ-მართებელი ხვალ, 23 მაისს, აპირებს გამგზავრებას საქართველოს სამხედრო გზით.

✦ ორშაბათს, 20 მაისს, კრება ჰქონდათ ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წევრებს. თავმჯდომარემ მოახსენა კრებას: ქუთაისში გაიხსნა ჩვენის საზოგადოების განყოფილება და თავმჯდომარედ ქუთაისის გუბერნატორის მეუღლე ქ-ნი სმაგინისა აირჩიესო. შემდეგ კრება მორიგ საქმეების განხილვას შეუდგა. სხვათა შორის, გადასწყვიტა ზაფხულში კრება არ მოხდეს და ზაფხულის შემდეგ პირველი კრება დაინიშნოს 20 სექტემბრისთვის. საზოგადოებას წარსულის თვის (აპრილის) განმავლობაში წვრილ ხარჯებსა და საკუთარ სახლის შენებაზედ 7,000 მანეთამდე დაჰხარჯვია.

✦ ამ დღეებში კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ერთმა მემამულემ შეატყობინა, რომ სიმბირსკის გუბერნიიდგან გამოვიწერე ფუტკრისთვის სკები და თითო 4 მ. 50 კ. დამიჯდაო. ამასთანავე ერთი სკა უსასყიდლოდ დაუთმო სამეურნეო საზოგადოებას, რომ ყველა მსურველს შეეძლოს იმისი ნახვა. უნდა შევნიშნოთ, რომ ამისთანა სკა ტფილისში 12 მანეთადა ღირს. სასურველია, მეფუტკრეებმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ.

✦ ორშაბათს, 20 მაისს, ქალაქის საბჭოს კრება არ შესდგა ხმოსანთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო. ვინ მოსთვლის ეს მერამდენე კრებაა, რომელიც არ შესდგა ხმოსანთა დაუსწრებლობით.

✦ დღეს, 22 მაისს, კრება ექმნება ქალაქის გამგეობასა და კომისიას მეეტლეთათვის ახალ ნიხრის დასაწესებლად.

✦ ტფილისში მყოფი ჯარები უკვე მიდიან საზაფხულოდ სხვა-და-სხვა ადგილებში. სხვათა შორის, 28 მაისს მიდის თიონეთში კავკასიის საპიორთა ბრიგადა, ხოლო მომავალ თვის პირველ რიცხვებში თიონეთშივე მიდის კავკასიის მსროლელთა პირველი ბრიგადა.

✦ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამას წინად ცოტას გასწყდა უბედურება არ დატრიალდა მუხრანის ბორნის უვარგისობისა და სიძველისა გამო. ნახევარი ბორანი (ერთი ნავი) წყალმა მოიტაცა და ზედ მყოფნი ძლივს გადაარჩინეს. ეხლა პოლიცმეისტერს ბორნის მუშაობა აუკრძალავს.

—

**ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წლიური კრება** (დასასრული). სარევიზიო კომისიის მოხსენებით ა) თითქმის ყოველი ბიბლიოთეკა თავის ხარჯს თავისივე შემოსავლით ჰფარავს, მაგრამ გამგეობა ერთხელ გადაწყვეტილს შემწეობას მაინც აძლევს, ასე რომ ამათ კასაში ყოველ წლივ რჩება თავისუფალი ფული, მაგალითად: ტფილისის მეორე სახალხო ბიბლიოთეკას ამ წლის იანვარს დარჩენია ფულად 183 მ. 36 კ., ტფილისის მესამე სახალხო ბიბლიოთეკას 244 მ. 12 კ., ქუთაისის სახალხო ბიბლიოთეკას—1320 მ. 90 კ. და ახალციხის სახალხო ბიბლიოთეკას 525 მ. 31 კ. კომისია იმ აზრისაა, რომ გამგეობამ საზოგადოების თანხიდგან მხოლოდ მაშინ აღმოუჩინოს შემწეობა ბიბლიოთეკას, როდესაც საჭიროება მოითხოვს. ასე თუ იზამს, მაშინ გამგეობას შეეძლება კიდევ ახალი სამკითხველოს დაარსება; ბ) გამგეობას თავის შემწეობით ორი სამკითხველო დაუარსებია ტფილისში, მესამე ხონში. კომისიამ აღმოაჩინა, რომ გამგეობას ვერ უზრუნია სამკითხველოებისათვის; გ) საჭიროა სამკითხველოებს გაეგზავნოს კავკასიის ყველა ქართული და რუსული გამოცემანი, გამგეობას-კი გამოუწერია ზოგ ბიბლიოთეკებისათვის ზოგი გამოცემა კავკასიისა და პეტერბურგიდგან „ნივა“, აქაური ჟურნალი-კი „კავკაზსკი ვესტნიკი“ არ გამოუწერია, თუმცა გამგე ბიბლიოთეკისა ამას ითხოვდა.

თავ. ი. ჭავჭავაძემ მოახსენა კრებას, რომ სარევიზიო კომისია რომ ბრძანებს, პირველს იანვარს ამა და ამ სამკითხველოს ამდენი დარჩენია ფულადაო, ეს ფული თავისუფალი არ არის, არამედ უნდა დაიხარჯოს მომავალში, და ამიტომ მოგებად არ უნდა ჩაითვალოსო.

სარევიზიო კომისიის მოხსენებით, საზოგადო კრებამ დაავალა გამგეობას, ეზრუნა მუზეუმის შენობის აგებისათვის, მაგრამ გამგეობამ დღემდე ეს საქმე უყურადღებოდ მიუტოვა კომისიას. უნაყოფოდ და ზედ-მეტად მიაჩნია საზოგადოების წიგნთ-საცავსა და მუზეუმზედ გაწერილი 780 მანეთი.

გამგეობამ უპასუხა, რომ მუზეუმისათვის შენობის აგება დიდს ხარჯს ითხოვდა, სხვაფრივ მუზეუმის საქმის გაუმჯობესება გამგეობამ ვეღარ მოახერხა. ბ. სურგულაძე კითხულობს, რად გვინდა იმისთანა მუზეუმი, თუ ხარჯი ბევრი ექნება, შემოსავალი-კი ცოტაო. სულ ყველას ის სჯობია, აღარ შევინახოთ მუზეუმი და ის ფული, რომელიც მუზეუმზედ იხარჯებოდა, სხვა რამეს მოვახმაროთ, რომელიც უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს საზოგადოებასაო.

გამგეობა დაჰპირდა კრებას, ვეცდებით საქმე გავაუმჯობესოთო.

სარევიზიო კომისიის მოხსენებით, საანგარიშო წელს წიგნების გაჭრობისაგან საზოგადოებას წმინდა მოგება დარჩენია 1485 მ. 11 კ., წინა წელს-კი 1917 მ. 48 კ. კომისიის აზრით, უმთავრესი მიზეზი შემოსავლის შემცირებისა ის ყოფილა, რომ საანგარიშო წელს გამგეობას არ გამოუცია ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“. გამგეობამ აუხსნა, რომ იაკობ გოგებაშვილმა ჩვეულებრივ არ მოგვმართა «ბუნების კარი» გამოეცითო.

ი. გოგებაშვილი: ჩემი წიგნი «იავნანამ რა ქნა?“ ხუთჯერ გამოვეცით და ხუთჯერვე 1200 ცალისა ნაკლები არ გაუიდულა (თითო ცალი ღირდა 10 კაპ.); წრეულს-კი გამგეობამ გამოსცა, თითოს 5 კაპ. ჰყიდდა, მაგრამ 500 არც-კი გაიყიდა. ეს რას უნდა მივაწეროთ?

კარიჭაშვილი: სოფლებში გაყიდვით გამგეობამ დიდი ენერგია გამოიჩინა, მხოლოდ ქალაქში არ გაიყიდა.

ხოსიტაშვილი: ყოველ წლივ მკითხველი საზოგადოება გვემატება, წიგნების გაყიდვა-კი კლებულობს. ეს სხვანაირად არ აიხსნება, თუ არა იმითი, რომ ეხლა თითქმის ყოველმა მკითხველმა ოროლი ცალი შეიძინა იმ წიგნებისა რომელსაც ეხლა გამგეობა ხელმეორედ სცემს, მოთხოვნილება აღარ არის ხალხში იმ წიგნებისა. ბუკინისტები ეხლა მეტს იგებენ წიგნებითვაჭრობისაგან, ვინემ ჩვენი გამგეობა. ისინი იმისთანა წიგნებსა სცემენ, რომლებიც ხალხს აკმაყოფილებს და ამ რიგად, ბუკინისტებს უფრო მეტად ესმით ხალხის მოთხოვნილება, ვინემ ჩვენს გამგეობას.

სარევიზიო კომისია: ფოტოგრაფია წარმატების გზაზე დამდგარა და არ შეიძლება არ ვისურვოთ ასეთისავე ნაბიჯით წინმსვლელობა.

ბ-ნი ცხვედაძე ზოგიერთ ნაკლულევანებს, რომლებიც უეჭველია ჰქონდა ფოტოგრაფიას, შევასწორებთ.

დანარჩენი საქმეების განხილვა, რაც ამ დღეს ვერ მოასწრო კრებამ, გადასდო შაბათს, 25 მაისის კრებისათვის.

კრება საღამოს 5 საათზე დაიშალა.

# საქართველოს ამბები

**დაბა ხიდისთავი** (გურია). დ. ხიდისთავი და გარშემო მდებარე სოფლები მით განსხვავდება გურიის სხვა სოფლებისაგან, რომ აქაური ხალხი მიწის სივიწროვის გამო გარეთ, ქალაქებში, გადის სამუშაოდ, სადაც პირის-პირ უდგება დღევანდელს ცხოვრების გართულებულ და გამწვავებულ ვითარებას. დაკვირვებით და გამოცდილებით აღჭურვილ ქალაქურ ცხოვრების ზედგავლენით შეცვლილ ხიდისთაველს სოფელში შემოაქვს ახალი მიმართულება, ახალი შეხედულობა. ეს ახალი გავლენა თან-და-თან არღვევს და ჰშლის ზოგიერთ ძველებურ მავნე ჩვეულებასა და შეხედულობას, ძირს უთხრის ხალხის ცრუმორწმუნეობას და ხელს უწყობს სწავლისა და განათლების გავრცელებას.

ხიდისთავში შენდება მკვიდრთა ხარჯით კარგა მოზრდილი ქვითკირის შენობა, რომელშიაც მოთავსებული იქნება აქაური სახალხო უფასო სამკითხველო-ბიბლიოთეკა და თეატრი. ეს სასახელო საქმეა, არათუ პატარა დაბისათვის, არამედ დიდის ქალაქისათვისაც-კი. ქალაქ ოზურგეთს სახალხო სახლი-კი არა, მისი მზგავსიც არა აქვს-რა და, სამწუხაროდ, არც ექნება დიდ-ხანს. ხიდისთავშივე აარსებენ თავის ხარჯით ოთხ-კლასიან საქალაქო სასწავლებელს, რის შესახებაც უკვე აღძრულია შუამდგომლობა სათანადო მთავრობის წინაშე.

მაგრამ, მოგეხსენებათ, სინათლეს განუყრელად სიბნელეც თან ახლავს: ახალ აზრს, ახალ მიმართულებას, ახალ მოქმედებას ძველი უფრთხის და ეწინააღმდეგება. ხიდისთავშიაც ასე არის. აქ არის ერთი დასი, რომელიც ყოველისავე თავის ძალ-ღონით ხელს უშლის საზოგადო და სასარგებლო საქმეს. ეს საზოგადოდ ჩვეულებრივი მოვლენაა და საკვირველიც არაა, მაგრამ საყურადღებო აქ ის არის, რომ ამ მავნე მიმართულების წარმომადგენელთა შორის თითო-ოროლა ახალგაზდაც ურევია.

ხელს უშლიან კეთილს საქმეებს ისინი, ვინც უნდა იყვნენ «მარილი და ნათელი“ სოფლისა და ვისნი საქმენიც „უნდა ბრწყინავდნენ კაცთა წინაშე“!

სტუმარი.

—

**ქვემო-თეკლათი** (სენაკის მაზრა). აგერ მაისი სრულდება და ჯერ აქეთ ნახევრად არ არის ყანები დათესილი, რადგანაც მაისი ხანგრძლივი გვალვებით დადგა. რაც დათესილია, ისიც შეწუხებულია უწვიმობით. ადესის ვაზს წელს ბლომად ასხია, თუ-კი ღმერთმა შეარჩინა. მაისის ქარებმა ცოტა ზარალი მისცა ვაზს, მაგრამ რაც იმას გადაურჩა, ისიც საკმაოა, უკეთუ უკლებლივ შერჩა. საზოგადოდ წელს აქეთ ხილი ნაკლებად არის...

აბრეშუმის თესლი აქეთ ყოველმა ოჯახმა შეიძინა. მეაბრეშუმენი დიდს სიხარულში არიან, რადგანაც ხმა დადის, ვითომ წელს, წარსულ წლებთან შედარებით, მეტი ფასი ექნება აბრეშუმის პარკსაო. ჯერ-ჯერობით აბრეშუმის მოსავალზედ არაფერი გვეთქმის. ვნახოთ ბოლო რა იქნება.

—

**შატილი** (ხევსურეთი). უწყიან უთუოდ მკითხველებმა ვინაობა და სადაობა შატილისა და შატილის საზოგადოებისა, საქართველოს ერთის განაპირა კუთხისა ხევსურეთში. ეს ადგილი შეზღუდულია მუდმივ დათოვლილის მთებით, რომელსაც თეთრი არაგვი ჩამოუდის და გაღმა-გამოღმა სოფელია დაფენილი. ს. შატილი ეკუთვნის თიანეთის მაზრას, მაგრამ შვიდის თვის განმავლობაში ყოველივე უშიშარი მიმოსვლა სწყდება უგზოობისა გამო.

შატილს გარშემო არტყია სხვა სოფლებიც. მცხოვრებნი სულ ხევსურნი არიან, ამათ მეზობლად სცხოვრობენ ქისტები. ქისტებთან ხევსურნი ვერ რიგდებიან. ამიტომ ხშირად კაცის კვლაც მოსდევს ხოლმე. ქისტები სძარცვენ სოფლებს, ზოგ მად თუ ცხადლივ, ჰხოცვენ ხალხს; თუ კაცი სახლში არ დაიგულეს, ქალებსაც იტაცებენ და სხ. ამის გამო ბეჩავი ხევსურები თითქმის მუდამ შეიარაღებულნი და გამზადებულნი არიან ქისტებზედ საომრად.

აქაურს კაცს თავისი სული ხელში უჭირავს, წავა, დაჰხვდება წინააღმდეგს და ან მოჰკლავს, ან მოჰკლვენ; ჩივილი-კი არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება.

ისევ მტკიცედ უჭირავთ ხევსურებს ძველი სარწმუნოება. სად არის ამათში მღვდელი? ხუთმა წელმა რომ გაიაროს, ერთხელ არ მოიკითხვენ მღვდელს; და ან-კი რა საჭიროა ამათთვის მღვდელი, თვითონ ჰყავთ «ხევის ბერი» ანუ დეკანოზი, რომელიც ასრულებს მღვდლის წესსა. რომელიმე ხატის დღესასწაულზედ დეკანოზი დაამწყალობნებს ხალხს, ლოცვებს წაუკითხავს, ძღვენს საკლავს უკურთხებს, დაჰკლავს მათ მოყვანილ საკლავს და ასხურებს ხალხს იმავე საქონლის სისხლს. ასეთი ქრისტეანობის წინააღმდეგი ჩვეულება ისე მტკიცედ უჭირავთ ხევსურებს, რომ

# ფელეტონი

## ბაასი რკინის გზის სადგურზედ

(სცენა)

ბატონ იორამს სიცოცხლე და კარგად ყოფნა!—დაუკრა თავი მგზავრმა სეხნიამ აზ. იორამს.

— სეხნიას გაუმარჯოს, ჩემს სეხნიას, ეს არის შენი დაპირება? მალე გამევლი და ამბებს მოგიყვებიო?

— იორამს ვფიცავარ, იმის შემდეგ, რაც ჩვენ აქ ვიმუსაიფეთ, ოცჯელაც-კი ავიარ-ჩამევიარე, მაგრამ შენ მაინც ვერ მოგკარი თვალი და დარჩენის დროც არასოდეს არ მქონია; ან-კი საიდან დავრჩებოდი, შენი ჭირიმე, როცა ფეიქრის ქსელივით ვარ გაბმული ქუთეის და ჭიათურის შუა, თუმცა-ღა ძრიელ-კი მინდოდა თქვენი ნახვა.

— რა ამბავია, სეხნო, ხომ არა გიჭირს-რა?

— მეტი რა გამიჭირდება, ბ-ნო, აქეთობას რომ მოვდიოდი მარშინით *), ერთმა კაცმა ამეილო ჯიბიდან ფართო ქაღალდი და დეიწყო კითხვა; შეიქნა სიცილ-ხარხარი, შენს მტერს, მე ზაფრა მეცა, რაც ჩვენ ამას წინათ ვილაპარაკეთ ამ „ტანციაზე“, ყველაფერი ჩაეწერა ვიღაცას, ასე და ასე ლაპარაკობდენო სეხნიეი და ბ-ნი იორამიო. იმე, იმე! ასთე დალაგებით რაფერ მოახერხა ბ-ნო, ა? კინაღამ ქუაზე შევიშალე კაცი! ვიფიქრე: ეჭვი არ ეილონ ჩემზედ-მეთქი და განზე დევიწყე ყურება, თორემ, რომ შეეტყვენ ჩემი იქ ყოფნა, სწორედ უნდა გადავმხტარიყავი „მარშინიდგან“ და კიდევაც, დალეუპულა თქვენი მტერი, მე დევიღუპებოდი კაკალი კაცი.

— ჰო მართლა! „ივერიაში“ წავიკითხე და ბევრიც ვიცინე, ჩემო სეხნია.

— რა სასაცილოა, ბ-ნო, იმ შენი კაი მამის სულს ვიფიცავ, ახლაც-კი მინდოდა მეთქვა რამე, მარა დამაშინა იმ წყეულმა სულმა; ნამდვილათ შამოჩენილი იყო და გვიყარაულებდა. იორამს ვფიცავარ, რომ ვიცნობდე, მამა მიცხონდა, ისეთს დაუთათრულებ, სადაც ფეხი უდგია, იქანა თავს დავაკვრევინებ!..

— არა, ჩემო სეხნია, მართლაც აქ-კი არ გვიყარაულებს მეღა შენ.

— მაშინაც ასე იყო, ბ-ნო იორამ, და იმ ჩემი ცოდვით სავსეს ერთი არ შეშლოდა, ისე გეეწერა „გაზეჩი“ და ახლა შეგეპუება თუ?! შენც არ მომიკვტე, ავი ავსა არ მეიშლის, არა და არა!

— აკი გითხარი, არა მეთქი? მენდევი ამაში!

— რაღა დროს ნდობაა, შენი ჭირიმე, როცა თვალით ვხედავ ჩვენს სიკეთს; ვთქვათ ოჯახის სანამუსოს ვლაპარაკობდეთ, იმასაც თბილი-ქალაქში ამოაყოფიებს თავს? ტფუი ეშმაკს!.. თუ რამე თქვა კაცმა, ქვეყანას მოაფენენ; თუ არ თქვა და, მუნჯიაო, იტყვიენ; რა ქნას კაცმა, არ ვიცი, უწინდელ დროში, სად იყო გაწერა-გამოწერა. შენს სიცოცხლეში რომ გელაპარაკნა, მეზობელიც ვერ გეიგებდა, თვარა იქით და აქით ვინ გეიწერებოდა! ახლა-კი, გულში რას ფიქრობ, ან ჯიბეში რა გაქვს, იგიც-კი იციენ. ღმერთო, ნუ მეიძულებ შენს გაჩენილს ქვეყანას! გუშინწინ ჭიათურაში, ზედ „ტანციის“ გვერდით, ერთი კაცი ენიზლავებოდა მეორეს: ჯიბეში რაც გაქვს, თუ გითხრა, ნახევარი ჩემი იყოსო. დაენიზლავეს და, „ბუმაჟნიკი'' რომ ამეიღო, იმ ავი სულის ნათქვამი შესრულდა და კიდევაც გამოალალა ნახევარი იმ ჩემი ცოდვით სავსემ. მერე ჩემსკენ შემობრუნდა სულწასაწყმენდი, მგონი მეც მიპირებდა იმასავით პირში ჩალის გამოვლებას, მარა დიახაც ვერ მომიხერხა; მაშინვე მოვაშურე მარშინას; ჯიბეზე ხელი არ მომიშორებია, ვფიქრობდი: „ბუმაჟნიკი'' არ ამოაფრინოს იმ სულ-ამოსახთენმა მეთქი''.

— ძრიელ გიმარჯვებია, ამფერულა შენს კაცობას!

— ღმერთმა თქვენც გაქნევინოსთ და თქვენს მომავალსაც ამისთანა სიმარჯვე, ,,სამარგალითო'' იყო, იორამს ვფიცავარ!

— სხვას რას იტყვი ახალს?

— გუშინ-წინ ღამით ქმარ-შვილიანი ,,პრაჭკას'' შეუხთნენ სახლში ტოლიკ-ტოლიკი ყმარწვილები: შეიქნა ერთი კივილ-ჩხივილი. „ლივერების“ ბათქა-ბუთქი, წამოვცვინდით ლოგინიდგან და მივეშველეთ. მარა ვინ იყო, არ ვიცით. გეერია ჯარი-კაცში და, აბა, რას ვიცნობდით? ღამით-კი არა, დღისითაც არ იცნობა ჭიათურაში კაცი!

— რა მიზეზია, ჭიათურაში ასე ზედი-ზედ რომ ჩნდება ცეცხლი? ხომ არავისთვის შეგიმჩნევიათ-რა?

— რა შემჩნევა უნდა, ბ-ნო იორამ, ვითომ რავა არ გაჩნდება ცეცხლი და უბედურობა. იბინდებს თუ არა, ბაზრის ყალაური დეიკავებს „სისტოკს“ და „უშიტინებს“: დაწევით, დეიძინეთო და ქათმებსავით აბუდებს „თლათ“ ბაზარს; საკვირველებაა, იორამს ვფიცავარ, მარა ზოგისთვის-კი ამაოა იმის შიტინი!

— როგორ ამაოა, სეხნო, მიზეზი?

— როგორ, ბ-ნო, და დღეი ძინავენ და ღამით ბანქოობენ „კარტოშნიკები“ მიკიტნის ოთახებში. ამას წინეთ ღამე გავათიე ერთს ნაცნობის დუქანში და, სწორედ ერთი მიძინილი იყო, გავიგონე მეორე ოთახში ფულის ჩხრიალ-ჩხრიალი და კაცის ხმა: „ჰა ასი მანათიო“. მეორემ წამეიძახა: „ბანკიო!“ იმე! შევშინდი, მარა რა ნაირად, ვიფიქრე: ჭიათურის ბანკი გოუტეხიენ, აქ მოუტანიენ და იყოფენ-თქვა! ნამდვილად დევიღუპე ამიხნის კაცი, თუ მოანკვლიეს, მართალს კაცს დამიჭირავენ-მეთქი, სულ ბათქაბუთქი გაქონდა გულს, ძილი თლათ დამეკარგა შიშით. თურმე ნუ იტყვით, შენი ჭირიმე, ყოველ ღამით ასე კარტოობენ ის ჩემი ცოდვის მზიდველები. ახლა ლაპარაკობენ: იმ ღამეს რომ ცეცხლი გაჩნდა, ვითომ კარტოშნიკებს თამაშობაში ჩხუბი მოსვლოდენ და იმ წეწვა-გლეჯაში ლამპა გადავარდნილა შტოლიდან და ცეცხლი გაჩენილიყოს...

— ეს ამბავი ვითომ-კი არა, ეჭვში მოსავალიცაა სწორედ!

— ჭეშმარიტად, იორამს ვფიცავარ.

— კიდევ რას მეტყვი ახალს?

— სხვას-კი არა და არ დავიღუპოთ, აგი არ ჩაგვიწერონ, ბ-ნო იორამ, „გაზეჩი“?!

— არა, ჩემო სეხნია, შენ მხოლოდ მომიყევი ამბებს, ფიქრი ნუ გაქვს.

— არა არას იძახი, შე მამა ცხონებულო და, ვინცხაა, მაინც არ გვაყენებს ამ ქვეყანაზე, ის არ დასაყენებელი. ახლაც თუ უწინდელივით გვიქნეს, მერე სულ უარეს გვიზამს ის ხვთისაგან გარისხული და შემდეგ ბრძანე: რა უყო თქვა, სწორედ ნახევარი არ გეკადრება მამით თქვენის შვილს. მამა თქვენს ვფიცავარ ორნაფრეს, ახლა რომ ის მყოლოდა, ვინ გაბედავდა „გაზეჩი“ გაწერ-გამოწერვას, აბა, ერთი იფიქრე კარგად?!

— ვითომ ეჭვი შეგაქვს, არ დაგვიწერონ?

— ვინ გაბედავდა? ვინ იქნებოდა იმისთანა?

— მოჰყევი სხვა ამბავს, სეხნო, მატარებელი იგვიანებს კიდევ ოთხს საათს.

— აბა, არ მღირსებია იმის მოსვლა და არის?!

— რას ჩქარობ, ჩემო სეხნია, ვილაპარაკოთ, დრო ნებას გვაძლევს!

— დრო-კი გვაძლევს ნებას, მარა ჯანი? ჯანი რომ სუსტობს, იორამს ვფიცავარ; ცოტა მოვისვენებ, თუ ვიშოვე სადმე გვერდის დასადები და „მარშინის“ მოსვლამდე კიდეც გამოვიძინებ შენგან მოწონებულათ.

— მაშ, ღამე მშვიდობისა, ფრთხილად, მატარებელი არ გაგვეპაროს!

— არა, შენი ჭირიმე, არა.

გ. ნანელი.

*) იმერეთში საზოგადოდ „მარშინას“ უძახიან მატარებელს.

მღვდელს არას გზით არ შეუძლიან გადასჩვიოს ეს უბრალო ხალხი ასეთს ჩვეულებას, თუ პოლიციამ დახმარება არ აღმოუჩინა.

როგორც სჩანს, ჭქონიათ სადღაც კიდეში ხატი, რომლისაც თვალები არის მინისა, კბილები ვერცხლისა, ჩაცმულია როგორც ადამიანი. ადგილობრივი მღვდელი სცდილობს თურმე ამ ხატის მოვნას, მაგრამ ღირსი ვერ გახდა იმის ნახვისა. აი, ერთი ლოცვა თქმული „დეკანოზის“ შიერ ამ ზემოხსენებულ ხატის დღეობაზედ დამწყალობნების დროს: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათაჩია; ამითა ვართ ცათაჩია, ეგრე ქვეყანათაჩია, აღიდებდეთ დეკანოზნი აწ სახელთა უფლისათა; აღიდებდეთ დეკანოზნი აწ სახელთა უფლისათა, იძახიან ანგელოზნი გალილია, გალილია, მოელიან დეკანოზნი წყალობათა ხატისათა, შეიძრნეს და შეირხინეს აწ საყდარნი უფლისანი, გადმოვიდეს ანგელოზნი შემმუსვრელნი ეშმაკთანი, გადმოვიდა ქრისტე ღმერთი, ილოცა და იმარხულა, სამი ვეძი, სამი ხარი დაკლა, სისხლი მოისხურა, სამი პური გაუტეხა, სამ ათასნი დააპურა, სამი თასი ღვინო დადგა, დეკანოზნი მიიწვივნა. ღმერთო! ღმერთო! შეგვიწყალეჩ. ჩვენ ყოველნი, შეგვიწყალენა ჩვენ ყოველნი, დაგვლოცა და გვაკურთხეინა. ღმერთო ადამისო, ღმერთო იაკობისო, ღმერთო მარკოზისო, ღმერთო, შენია ქვეყანა, ღმერთო, შენია ზეცანი, შენია ბნელი, შენია ცისკარი, ღმერთო, რომელმან შეჭმოსენ ცანა ღრუბლულითა და მიწანი წვანილითა, გადმოვიდა ქრისტე ღმერთი წიგნითა მარკოზისათა. ქრისტე ღმერთო, დასწერე ჯვარი ძღვენსა ამასა—მძღვნელსა ამასა, სხვათათვის არ მასწავლებელო სამართალო ღვთისაო, დასრულდა წირვა ჟამისა.

ხალხი ქოთქოთით ეუბნება: „მღვდელო, შენ ენა-პირი გიკურთხოს, დიდხანს გაგიყოლიოს, შემახიდ ნუ შეგნანოს“.

საკლავის კურთხევაზედ და დაკვლაზედ დეკანოზი ამბობს: «დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება რჯულთ ქრისტიანელისა, დიდება დღესა დღენდელსა, მზე მშვენიერსა, მზის მყოლ ანგელოზთა. დიდება და გამარჯობა შენდა, გიორგი სამხოსახისავ.*) შენ სამთავროდ მღვთის კარზედ შემოსრეული სამსახური შენ შენს მორიგე ღმერთს შესრივიდი. შენ შენს მეხვეწიურს შიშნიას**) წყალობა გამოუთხოვიდი, შიშნიას სხვანი ანგელოზნი თუ რასმე უჩიოდენ, ისინიც შეარიგნიდი, კვირე თუ რასამეს უჩიოდეს, მადლი ხოიშან მოუთხოვიდი, პურს უმატიდი შიშნიას სახლში, წულს უმატოდი, კაცს კაცრივლობას, ორ-ფეხს, ოთხფეხს, ქუდიანს და მანდილიანს, ნუ მოაკარებ ჭირს, სისხლობას. ამის მეუდროში ნუ ჩამოუგდებ არეულ-დარეულობას, ერთ-ურთის მტრობას, ვედთ გამსვლელს გაყოლდი, გაუმარჯოდი, დაძრულ მიწიერს დაულაგმოდი; მისდევდეს ვისმეს, მისწიოდი, მოსდევდის ვინმე, გამოასწრიოდი; რასაც მხარზედ და გულზედ გეძახდეს, იმაზედ გაიკითხოდი“.

შატილი ჭშორავს სამაზრო ქალაქს 70 ვერსით და, რამდენადაც მოშორებულია სამაზრო ქალაქს, იმდენად ყველაფრით ჩამორჩენილია თავისი სხვა სოფლებს. ამათ არ აქვთ არც სკოლა, არც წიგნთ-საცავ-სამკითხველო და არც სხვა რამე საზოგადო დაწესებულება. ამ ბოლოს დროს ერთმა ხევსურეთის მღვდელმა სთხოვა მთავრობას, სკოლა გაგვიმართეთო. შატილის საზოგადოებაში შვიდი სოფელია, მაგრამ მცხოვრებთა შორის ხუთი-ექვსი თუ მოიძებნება ცოტა შეძლებული, თორემ დანარჩენები ღარიბნი არიან. ამისათვის საეჭვოა, რომ სკოლის გამართვა მოახერხონ იქ, თუ მთავრობამ არ იკისრა ყოველივე ხარჯი.

კოტე ფასანაურელი.

*) ზემოხსენებული ქანდაკება-ხატი.
**) სახელი კაცისა.

# რუსეთი

ამ ზაფხულს უწმ. სინოდში კრებაზედ დასასწრებლად მოწვეულნი არიან: მთავარ-ეპისკოპოსი ფლაბიანე, ექსარხოსად ნამყოფი საქართველოში, ნიკოლოოზი, მთ.-ეპ. ფინლანდიისა და ვიბორგისა, აგათანგელი ეპისკ. რიგისა და მიტავისა და მაკარი, ეპ. ტომსკისა და ბარნაულისა.

— კურს-დამთავრებულს ინჟენერ-ტეხნოლოგებს მოუგროვებიათ 3,500 მან. ხელისმოწერით და განუზრახავთ ამ ფულით ისეთი რამ გააკეთონ, რომ მით მადლობა გადაუხადონ თავიანთ პროფესორს ი. ა. ეპანჩინს, რომელიც თურმე მეტად კეთილად ეკიდებოდა სტუდენტებს. ახალგაზდა ინჟენერ-ტეხნოლოგებს გადაუწყვეტიათ, ამ ფულს ვუწოდოთ სახელად „კაპიტალი პროფ. ეპანჩინისაო“. ეს ფული ხელ-უხლებლად შევინახოთ, ხოლო მისი ყოველ-წლიური სარგებელი ვაძლიოთ პრემიად საუკეთესო სატეხნიკო თხზულებათათვისო.

— სარატოვის გუბერნიას ჰქონია 1900 წელს დამართული სამრევლო სკოლები 957. მოწაფეთა რიცხვი ყოფილა 38,000 (28,231 ვაჟ. და 9,769 ქალი).

— საქველ-მოქმედო საზოგადოებას, რომელსაც დახმარება ეწოდება, გამოურთმევია ვოლოგდაში ქალაქისათვის შესაფერი მამული და უკვე საძირკველი ჩაუყრია სახალხო სახლის ასაგებად. გადადებულია 40,000 მან.

— სარატოვში ერობას წიგნების საწყობი აქვს. წიგნების საწყობს დაუჭერია ცალკე კაცი და დაუვალებია მისთვის ჰყიდოს სახალხო საკითხავად გამოსადეგი წიგნები იარმუკაზედ, ბაზარ-ადგილას, ტრაქტირებში და, ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც-კი იმედი რამ იქნება, რომ ხალხი შეიძენს წიგნაკებს.

— ვლადიმირის გუბერნიაში ძრიელ გაძვირებულა ცხენები. გაზაფხულზე რომ კარგი ცხენი ჰღირდა 60—70 მან., ახლა იმისთანაში აძლევენ 110—130 მან. ამის მიზეზი თურმე ის ყოფილა, რომ ცხენებს დიდ-ძალს ჰყიდულობს და ჰგზავნის ინგლისში ერთი ავსტრიელთა ფირმა. ყოველ კვირა 16 ვაგონს ავსებენ ცხენებით და ჰგზავნიან აქედგან ინგლისში. ახლა, რაკი ზავი ჩამოვარდა ინგლისსა და ბურებს შორის, იმედია, ცხენები ისევ გაიაფდება ვლადიმირის გუბერნიაში.

— სევასტოპოლში დიდი ბრძოლა გამოუცხადებიათ ვირ-თაგვებისათვის. ეგენი არიან, რომ ავრცელებენ შავს ჭირსა და ჟამსაო.

# უცხოეთი

**ლონდონი** (**საკუთარი კორესპონდენტისაგან**). ტელეგრამამ უკვე აუწყა მთელ ქვეყანას ამბავი იმ უბედურებისა, რომელიც მარტინიკისა და სენ-ვინცენტის კუნძულებს ეწვია. გულშემზარავია განსაკუთრებით ბედი პირველის კუნძულისა, სადაც 10—15 წუთის განმავლობაში სიცოცხლეს გამოესალმა მთელი ქალაქი და მახლობელი სოფლები. დაღუპილთა რიცხვი 40 ათას სულს აღემატება. ორიოდე გადარჩენილთა სიტყვით, ცეცხლის ზვირთმა ერთბაშად გადასწვა ქალაქი სენ-პიერი. ამ ცეცხლთან ერთად თვალის დახამხამებაზედ წუთი-სოფელს ასალმებდა ყველა სულდგმულს მოშხამული და სულის შემხუთველი გაზი. „კაცები, ქალები და ბავშვები გზა-დაბნეულებივით დარბოდნენ და ბუზებივით მკვდრები ეცემოდნენო“. ასე ახასიათებენ ამ საცოდავ უბედურებას მნახველნი.

საზარელი და საოცნებოა ეს ტრაგედია. პომპეისა და გერკულანუმის უბედურების შემდეგ ისტორიას არ ახსოვს ასეთი შემაძრწუნებელი უბედურება... მაგრამ, აბა, დაუკვირდით, რამდენად განვითარდა, დამეგობრდა, თითქმის გაერთიანდა კაცობრიობა პომპეის დაღუპვიდგან მარტინიკის ტრაგედიამდე! იქ, ვეზუვიის ძირში, მხოლოდ ადგილობრივი მკვიდრნი, მხოლოდ გულადნი და გამბედავნი გაექანნენ გადარჩენილთა საშველად და ის ადგილიც-კი არ აღნიშნეს დანამდვილებით, სადაც დაღუპული ქალაქი არსებობდა. ეს ადგილი მთელ საუკუნოების განმავლობაში დავიწყებული და დაკარგული იყო. ეხლა? ეხლა მთელი ქვეყანა, დიაღ, მთელი ქვეყანა, შეკრთა და შეძრწუნდა ამ ამბის გაგებისთანავე, მთელი კაცობრიობა სწუხს და ჰგლოვობს ბუნების სისასტიკის მეოხებით დაღუპულთ. ყოველის მხრიდგან თანაგრძნობის ამბები მოდის, ყოველი კუთხე შემწეობა-დახმარებას სცდილობს. ჰგზავნიან: კაცებს, სურსათს, ტანისამოსს, ფულს. ყველანი, ეროვნების განურჩევლად, სცდილობენ ძმურად ხელის გაწვდას საშველად. დაივიწყეს უთანხმოებანი, პოლიტიკა და მეტოქობა. კაცობრიობა მზადაა შეერთდეს და შეკავშირდეს საზარელ სტიქიონის წინააღმდეგ. ევროპის ხალხნი, განსაკუთრებით ამერიკის დიდ რესპუბლიკის მოქალაქენი ჰგზავნიან ექიმებს და სწავლულებს, ტანისამოსს და საკვებს, ფულსა და ტეხნიკოსებს დასახმარებლად, გამოსაკვლევად, უსახლკაროდ დარჩენილთათვის თავ-შესაფარების გასამართად.

ტელეგრაფმა, ორთქლის მანქანამ, ყოველდღიურმა პრესამ—მე-19 საუკუნის ამ საოცარმა შვილებმა—გააერთიანეს კაცობრიობა. ერთის ქვეყნის მწუხარება და სიხარული, უბედურება და წარმატება ერთსა და იმავე დროს ყველას გულსა ჰხვდება. მთელის დედამიწის განათლებულ და გონიერ კაცობრიობას ერთნაირად აღელვებს და გულს უკოდავს როგორც სტიქიური უბედურება მარტინიკზედ, ისე სომეხთა ამოჟლეტა ოსმალეთში და ძალმომრეობა და ჟლეტა-ხოცვა ტრანსვაალ-ორანჟეში.

კაცობრიობის აი ეს დაახლოვებაა თავმდებნი მომავალის ძმობისა და თანხმობით მოქმედებისა.

—

მხოლოდ ერთმა გარემოებამ დაარღვია ეს თანაგრძნობისა და დახმარება-შემწეობის აღფრთოვანება. მხოლოდ სალისბიურ-ბალფურჩემბერლენის სამინისტრომ შეუთვალა უარი და არ მოისურვა ხელის გაწვდა უგულო სტიქიონისაგან უბედურთა და ტანჯულთა საშველად. განათლებული, ჰუმანიური ინგლისი, ის ინგლისი, რომელიც მთელ ქვეყნიერობაზე ყოველთვის პირველი აწვდიდა დასახმარებლად ხელს გაჭირვებულთა და ტანჯულთ, დამშეულთა და დევნილთ, ეს ინგლისი თავის ისტორიის სამარცხვინო დღეთა სთვლის პარლამენტის გუშინდელ სხდომას, როდესაც ბალფურმა და იმის ფეხის ხმის ამყოლმა სქელ კაციანმა სპიკერმა (პალატის პრეზიდენტმა) გულიმ უარ-ჰყვეს და პალატას არ მიაღებინეს დილლონის წინადადება პარლამენტის მიერ ანტილიის კუნძულებზედ დაზარალებულთათვის ფულით შემწეობის აღმოჩენის შესახებ.

იმ დროს, როდესაც ბალფურმა და იმისმა ყურ-მოჭრილმა უმრავლესობამ უარი სთქვა ძმურ დახმარებაზედ, შეერთებულ შტატების კონგრესმა და სენატმა უბედურების პირველ დღეს ერთი მილიონი მანეთი გადასდო დაზარალებულთათვის; შტატების ყველა საფოსტო დაწესებულება შემოწირულებათა შეკრებას შეუდგა; გემები დროებით იმ კერძო კაცებსა და საზოგადოებებს გადაეცა, რომელთაც რისამე გაგზავნა ჰსურთ; უკვე გაგზავნილ იქმნა შტატებიდგან 400 ათასი ცალი ტანისამოსი, 30 ათასი ბოჭკა ფქვილი, 40 ათასი სამკურნალო ნივთი და იარაღი. კანადის პარლამენტმა 100 ათასი მანეთი გადასდო, პატარა იამაიკამ—10 ათასი, პაწაწკინა ანტიაგუამ—1000 მანეთი. იტალიისა, შვეციისა, ინგლისისა და დანიის მეფეებმა, რომის პაპმა, იმპერატორმა ვილჰელმმა—ყველამ საკუთარის ჯიბიდგან გადასდო ფული უბედურთა დასახმარებლად.

თვით დარდით მოკლულმა, ავადმყოფმა, სისხლით მორწყულ სამშობლოდგან განდევნილმა მოხუცმა პრეზიდენტმა კრიუგერმაც-კი გაიმეტა 320 მანეთი... ჰო ეს 320 მანეთი!.. დევნილმა პრეზიდენტმა, რომლის სამშობლოსაც მძარცველნი და მტაცებელნი შეჰსევიან, რომლის მოძმე-ნათესავთა სამარადლიანი ტირილ-გოდება ცამდე აღწევს, სამაგიეროდ გადაუხადა მინისტრებსა და პარლამენტს. ტანჯულ მოხუცის ეს 320 მანეთი უუმდიდრეს ერის მინისტრებისა და პარლამენტის მამხილებელი იქმნება უკუნითი უკუნისამდე. ამ ვაჟბატონებმა თავიანთის ეგოისტურის ანგარიშით მოუშორებელი მწიკვლი მოსცხეს ინგლისს.

მართალია საზოგადოებანი, ბანკები, სავაჭრო სახლები და კერძო კაცნი გულწრფელად, უხვად და ხელ-გაშლით გამოეხმაურნენ შემწეობა-დახმარების მოწოდებას; მაგრამ სამინისტროსა და იმის მონა-მორჩილის უმრავლესობის საქციელი მაინც მძიმე ლოდათ აწევს მოწინავე ინგლისს. სამინისტრომ, რომელიც სალისბიურისა და ჩემბერლენის შვილებისა, ძმის და დის-წულებისა და სიძეებისაგან შესდგება, უარი შეუთვალა და ამით თავისი თავი კაცობრიობის კრებულს გამოაკლო.

არ აპატიებს სამინისტროს ასეთს საქციელს არც ინგლისი, არც კაცობრიობა და არც ისტორია.

ვ. მარველი.

—

**სამხრეთ-აფრიკის ომი.** გუშინდელმა დეპეშამ მეტად სასიხარულო ამბავი მოიტანა: ბოლო ეღება ამიერიდგან სისხლის-ღვრასა და ჟლეტა-ხოცვას სამხრეთ-აფრიკაში. ორ წელზედ მეტია განათლებული კაცობრიობა გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს ამ არა ჩვეულებრივ ბრძოლას. ორი წელიწადია ერთი მუჭა ხალხი საოცარის მხნეობითა და ვაჟკაცობით უმკლავდება უძლიერესს სახელმწიფოს. მსხვერპლი დიდი შეიწირა ამ ხნის განმავლობაში; ორივე მხარემ მეტად დიდი ზარალი და ვნება ჰნახა, ამიტომ, ეჭვი არ არის, როგორც ინგლისელებს, ისე ბურებს, ძალიან გაახარებს ბრძოლის მოსპობის ამბავი. ზავის ჩამოგდება და შესვენება განსაკუთრებით სასურველია ბურებისათვის. იმათ დღეს თითქმის აღარაფერი გააჩნიათ, აღარც სახლკარი, აღარც სურსათი, აღარც ფული და არც სხვა რამ. საჭიროა დიდი დრო, რომ მშრომელი და მუყაითი ხალხი ხელ-ახლა მოეწყოს და უწინდელებრ ოფლის ღვრას მიეცეს.

დეპეშას ჯერ არ უცნობებია, რა პირობით მოხდა შერიგება, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ბურები იარაღს არ დაჰყრიდნენ და ინგლისს არ დაემორჩილებოდნენ, თუ ეს უკანასკნელი დიდ შეღავათსა და თავისუფლებას არ დაჰპირებოდა. ბურები საბოლოოდ არ დამარცხებულან, ამიტომ ისინი არც სავსებით დაემორჩილებიან ინგლისს.

# თეატრი და ხელოვნება.

თელავიდგან გვატყობინებენ: 25 მაისს, თელავის კლუბის დარბაზში თელაველ სცენის მოყვარეთა მიერ, ბ-ნთ აწყურელისა და გამყრელიძის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქმნება „ციმბირელი“. მთელი შემოსავალი გადაეცემა დრამატიულ საზოგადოებას მისამატებლად იმ ფონდისა, რომლიდგანაც გაჭირვებაში მყოფ მსახიობთ შემწეობა აღმოუჩნდებათ.

ამავე სცენის მოყვარეთაგან ამ ზაფხულს გაიმართება წარმოდგენები, კონცერტები და ცოცხალი სურათები ამ რიგზედ: „პედაგოგები“, „კრეჩინსკის ქორწინება“, ცოცხალი სურათები ვეფხვის ტყაოსნიდამ, კონცერტი, „ფული და ხარისხი“, „გაცრუებული იმედები“, „ინჟენერი და დოქტორი“.

—

ბათუმიდგან გვწერენ: „კვირას, 19 მაისს, რკინის თეატრში აქაურ სცენის მოყვარეთ, ქ-ნ ევ. სოლორაშვილის მეთაურობით, საქველმოქმედო აზრით წარმოადგინეს დრამა „პარიზელი ღატაკი“. მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნი ევგ. სოლორაშვილი, ა. შგელაძისა, დ. ალიხანოვი, ნ. ალიხანოვი, ბ-ნნი სტ. ხარაზოვი, გოცირიძე, ელიზბარიანი, ალიხანოვი და სხვანი. პიესა კარგად იყო მომზადებული და ამისათვის მწყობრად და საუცხოვოდ ჩაიარა. ხალხი აუარებელი დაესწრო და დიდად კმაყოფილი დარჩა. მოთამაშენი დიდის ალტაცებით და ხანგრძლივის ტაშის ძახილით დააჯილდოვეს. შემოსავალი ძრიელ კარგი იყო.

### ძველებური მოკითხვის წერილი*)

ნინოს

ქ. ალხაზმა, ელისაბედმა და სოფიომ ხელს გაკოცათ.

ქ. ღმერთმან თქვენი ნახვა აღირსოს მარად თქვენის გვერთ-ხლების ტრფიალს თქვენ' ქალს თინას.

ჩემო სიცოცხლევ, დედავ ბატონო!

ჩემს მოწყალეს გულსა და ხელს გაკოცებ და თქვენს ადრე განცდას ღ-თს ვსთხოვ. ვიცი ჩვენს ამბავს მოიხსენებ, ღ-ის მ ოწყალებით, ყველანი მშვიდობით გახლავართ: ალხაზის ამბავს მოიხსენებთ: დიაღ ძაღ-ი ენა აქვს, დადგება და დაგიწყებთ ძახილსა: „დედა ნინო აქ მოდიო!“ პატარა ელისაბედ დიაღ საცოდავი რამ არის: დილით საღამომდინ რომ ბრძანდებოდეთ ამასთანა, სამჯერ ხმა ამოღებულს ვერა ნახავთ. დიდად რომ შიოდეს, არას გზით ამისგან პურის მოთხოვნა არ იქმნება. მრავალჯერ დაგვავიწყდება ხოლმე სადილ-ვახშამზედა,—ეს თავ-დაღუნული არის. თუ ჩვენ არ მოგვაგონდა, არას გზით ამისგან ხმის ამოღება არ იქმნება. ალხაზსა და ამას რომ ჩხუბი მოუვა ხოლმე, ჩემი მული მაია ბრძანებს: ნეტავი, ეხლა ბებიაშენს შემოახედა. ჩემის თავისთვის მშურსო, რომ მე თქვენს თამაშობას ვხედავ და ის-კი ვერაო. ახლა ალხაზ რომ ჩაიდებს ქვეშ ელისაბედს და დაუწყებს ცემას, ვეტყვი ხოლმე ამ ქალსა: შენც დაჰკარო, და ამ პასუხს მოგვცემს: „დღეს იმიტომ არ დავკრამ, რომ ხვალაც არ მცემოსო“.

ეს პატარა ქალი-კი დიაღ ყაზახი რამ იქნება. ჯერ ექვსი თვისა არც-კი იყო, რომ კბილი ამოუვიდა. საჭმელს კარგა სჭამს, დათვივით არის. არ გებრალები, რომ კარგა მყავს. სწორედ თარაქამის დედაკაცს გავს. არაფერი შესაქცეველია, მაგრამ ვიცი გიამება ჩემი ლაუიჭყების ანბავი და იმიტომ მოგახსენე.

ამ წინაზე წიგნი გებოძათ, მროველი**) მობძანდა აქა და იმან მიბოძა თქვენი წიგნი. ხელსახოცი და სახლისპირო გებოძათ. ღმერთმან შენი სიცოცხლე და შენი ნუგეში ნუ მომაკლოს! დედაშვილობამ, სიამოვნების მაგიერად, დიდად მეწყინა. ვინ რა მოქცა, დედაშვილობასა, ღმერთმა-კი ნუ მოგიშალოს, რაც გული გქონდა, მარამ ასეთს უნდა მისცე რამე, რომ ღმერთმა თავის მოწყალება უხვებით მოიღოს შენზედა, ჩემგან არის მართებული მარად მორთმევისა და გამოსაგზავნისა. აქამდინ არ გეყო ჩემგან წუხება, დედაშვილობასა?! ნინიასთვის რომ წიგნი გამოგეტანებინა, მანამ სალომე არ წამოეყვანათ თქვენი წიგნი არ მოუტანიათ, თორემ, დედაშვილობამ, ჩემს თვალსა და გულსაც დიდათ სურდა თქვენი წიგნის ნახვაც და თქვენთან წიგნის მორთმევაცა. თქვენმა სიძემ თავის მოწყალეს ხელს გაკოცათ.

ქ. ჩემს მრავალ რიგად მწყალობელებს ჩემს მოწყალეს დედას და სალთხუცის ჯალაბს, ძალუას ხელს კოცნას მოვახსენებ და მაგათ მშვიდობით ბრძანებას ღ-სა ვთხოვ.

ქ. ჩემს სატრფიალოს ძალუა მართას, ჩემთვის სასიამოვნოს ნათელს გულსა და ხელს ვაკოცებ და მაგათ განცდას და მაგათში სიხარულს ღმერთისა ვთხოვ. ეგრეთვე ძალუა სვიმონის ჯალაბს მოვახსენებ გულს კოცნას.

ქ. ჩემა მულებმა მოკითხვისა მადლობა და მათაც მოკითხვა და პირსა და გულსა მოხვევნა მოგახსენეს. მაკაკას ამბავი და მაკაკას ქრმისა გებძანათო,—მადლობა ღმერთსაო, რომ შენი გამოლაპარაკება მეღირსაო.

ქ. ჩემს მაცოცხლებელს ბიძია იაკობს და და ძალუა მართას პირსა და გულს ვაკოცებ თავისის ქალითა.

ქ. ჩემთვის დიდათ სანატრელად სანახავს, ჩემს სატრფიალოს ელენეს, ხანფერვანს, მაკაკას, ნათელას პირსა და გულს კოცნას მოვეხსენებ. ნეტავი ერთი საათი თქვენში მამყოფათქო!

ქ. მარინე სიყვარულით მომიკითხეთ; თამარ ლალისახარ და ანა სიყვარულით მომიკითხეთ.

ძალუა მართას პატარა ალისფერი და სოსანი და მავი მითხოვე, შენ გენაცვალე, სარტყლის არშიას ვიკერავ, ნახევარი უფეროშევკერე და ჯერ ჩიგინი***) არ მიმიცია და კარგი ფერადი ვერ ვიშოვნე. ცალკე წიგნი მინდოდა მეახლებინა, მაგრამ ამას ბძანებდა, ფერადის გულისათვის მოუწერიაო და იმისის გულისათვის ვეღარ მოვართვი.

მაღალოშვილის მდივნის სახლში ნინოს მიერთოს მეტეხს.

*) ეს წერილი ძველებურის დედნითურთ ჩვენ მოგვივიდა სამაჩაბლოდან და ვბეჭდავთ აქ, როგორც ნიმუშს ძველებურ მოკითხვის წერილისას. წერილი მართლა შესანიშნავია ბევრ-გვარად. ყურადღებას იქცევს უპირველეს ყოვლისა თავაზიანი და დარბაისლური ქართული, შემდეგ წერილი საინტერესოა, როგორც თითქმის ამ ასის წლის წინანდელ შინაურ ყოფა-ცხოვრების გამომხატველი.

**) რუისის ეპისკოპოსი. კათედრა მროველთა გაუქმდა წარსულ საუკუნის დამდეგს.

***) ყვავილები, დაფოთვლა სარტყლისა.

# სასამართლო

გუშინ, 21 მაისს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ტეზერში მცხოვრებლის გლეხის ზაქარია გელაშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა მოკვლა იმავე სოფლის მცხოვრებლის სინო ქადიაშვილისა.

ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო ზაქარია გელაშვილი გულმოსულობის დროს კაცის მოკვლისათვის და გადაუწყვიტა ზოგიერთ უფლებათა ჩამორთმევით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

პალატამ ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა.

—

18 მაისს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნული იყო საქმე ბორჩალოს მაზრის მცხოვრებ ქერბალაი მუსტაფაბა-ოღლისა, რომელსაც ბრალად ედებოდა გასურებულ შამფურითა და უთოთი ცოლის დადაღვა. პალატამ საქმის გარჩევა გადასდო, რადგანაც ამ შესაძრწუნებელ საქმის დაწვრილებითი ცნობანი ბოქაულს ოქმში არ ჩაერთო.

### „ივერიის“ ფოსტა

**თ—ვს, ქ. ს—ლო.** საგანი გამორკვეულია და, ჩვენის აზრით, საჭირო აღარ არის მაგ საგანზედ წერისა და კამათის განგრძობა.

—

**ნ. პ. ღ—ურს.** თქვენ მიერ გამოგზავნილი „ხევსური ლექსი“ არ დაიბეჭდება.

# დეპეშა

20 მაისი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე იმპერატრიცამ მიიღეს ცარსკოსელსკის სასახლეში ლანგრაფი ჰესენისა. 20 მაისს ხელმწიფე იმპერატრიცას მარიამ თეოდორეს ასულს გატჩინოს სასახლეში წარუდგნენ წითელის ჯვრის კონფერენციის დელეგატები. 20 მაისს ხელმწიფე იმპერატორსა და ხელმწიფე იმპერატრიცას დიდს ცარსკოსელსკის სასახლეში წარუდგნენ წითელის ჯვრის კონფერენციის დელეგატები.

**კიევი.** გიმნაზიის მთავრობამ მოაწყო ექსკურსია მართლმადიდებელ შეგირდებისა როგორც მათის გონებრივის ვითარებისათვის ისე რელიგიურის და აღმზრდელობითის აზრით.

**ვიბორგი.** წუხელ საღამოს 10 საათსა და 17 წუთს გამოჩნდა დიდი მეტეორი, რომელიც მიდიოდა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით; გაირღვა ორად და დასტოვა ნათელი კვალი, რომელიც საათის ერთ მეოთხედის განმავლობაში ჩანდა.

**ლონდონი.** დილის გაზეთები აცხადებენ კმაყოფილებას ზავის ჩამოგდების გამო. „Standard“-ი ბურებსა სთვლის უგულადეს მოწინააღმდეგეთ, რომლებთანაც-კი ბრიტანიის და საახალშენო ჯარებს საქმე ჰქონია. „Morning Post“-ს ბედნიერ გარემოებად მიაჩნია, რომ მეფის გვირგვინის კურთხევა იმ დროს მოდის, როდესაც სახელმწიფო ისე გაძლიერებულია, როგორც არა სდროს არა ყოფილა. „Daily News“-ი,—რომ ბრიტანიის ხალხმა უნდა დაამკვიდროს თანხმობა და კეთილდღეობა განადგურებულს ქვეყანაში და დაანახოს ბურებს, რომ ინგლისს ძალუძს ისეთივე გამარჯვება

მშვიდობიანობის დროს, როგორც ომიანობისას. „Daily Telegraph“-ი ბედნიერებად სთვლის, რომ კრიზისი წინადვე მოხდა. ის განსაცდელი, რომელიც ინგლისს შეემთხვა, სასიკვდილო განსაცდელი იყო.

**დუვრი.** დღეს გაემართა ლონდონისკენ დიდი მთავარი მიხეილ მიხეილის ძე, რომელიც მიდის მეფის გვირგვინის კურთხევაზედ დასასწრებლად.

**პარიჟი.** რა აირჩიეს პალატის პრეზიდენტად, ლეონ ბურჟუამ წარმოსთქვა სიტყვა, რომლის არსებითი ხანა შემდეგია: ,,გული საეროვნო თავმოწონებით გვევსება, როდესაც გვაგონდება უკანასკნელი მოგზაურობა პრეზიდენტისა პეტერბურგს და რაგვარად მიიღეს მათ უდიდებულესობათ საფრანგეთის წარმომადგენელი. თვალსაჩინო თანაგრძნობა დიდის მეგობრულის ერისა შეჰმატებს ახალს ძალას სიმართლისა, პროგრესისა და კაცთმოყვარეობის იდეას, რომელთა სიმბოლოდაც არის ეს კავშირი.

**ლონდონი.** ზავის ჩამოგდების თაობაზედ დაწერილს წერილში „Times“-ი ამბობს: „ახლა, ვგრძნობთ-რა ჩვენს ძლიერებას, შეგვიძლიან განახლებულის ძალით შევუდგეთ ჩვენის საიმპერიალისტო განზრახვის ასრულებას, უფრო დიდის იმედით, ვინემც მაშინ, როდესაც გვაიძულეს საომრად ჩვენმა მამაცმა მოწინააღმდეგეებმა, რომელთაც ეხლა ვეგებებით როგორც ბრიტანიის იმპერიის თანამოქალაქეებს.

**პეტერბურგის ბირჟა**, 17 მაისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,20 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,90 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,65 |
| ბირჟის დისკონტი | 4½—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 96⅝ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 98¾ მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | — |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 477 გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 364 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 294 წვ. გაყ. |
| 4½% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | 10600 გაყ. |
| აქციები ,, | 528½ |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. | 4650 ,, |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 443 გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. | 180 წვ. გაყ. |
| ნავთის სამრეწვ. საზოგად. | — |

## ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი:

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

| | მოდის ტფილ. | გადის ტფილ. |
|---|---|---|
| **ბაქო.** | | |
| სწრაფი მატარებელი (პარასკეობით) | 3 ს. 43 წ. დღ. | 11 ს. 49 წ. დილ. |
| ფოსტის „ (ყოვ.-დღე) | 4 ს. 54 წ. დღ. | 1 ს. 34 წ. დღ. |
| სამგზავ. „ „ | 8 ს. 37 წ. დილ. | 8 ს. 22 წ. საღ. |
| **ბათუმი.** | | |
| სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე) | 10 ს. 2 წ. დილ. | 7 ს. 43 წ. დილ. |
| ფოსტის „ „ | 12 ს. 32 წ. დღ. | 6 ს. 7 წ. საღ. |
| სამგზავ. „ „ | 7 ს. 37 წ. საღ. | 9 ს. 27 წ. დილ. |
| **ყარსი და ალექსან.** | | |
| ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე) | 7 ს. 18 წ. დილ. | 9 ს. 28 წ. საღ. |
| ამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან) | 4 ს. 35 წ. დღ. | 3 ს. 13 წ. დღ. |
| **ბორჯომი.** | | |
| სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე) | 6 ს. 57 წ. დილ. | 6 ს. 22 წ. დილ. |
| სამგზავრო „ „ | 9 ს. 53 წ. საღ. | 2 ს. 28 წ. დღ. |

# განცხადება

## ტფილისის სამარხმა კასამ

უკვე დაიწყო მოქმედება და ვისაც ჰსურს წევრად ჩაეწეროს, მიჰმართოს გამგეობის წევრს-

---

ხაზინადარს შიო ქუჩუკაშვილს სათავად-აზნაურო ქარვასლაში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში. ერთ-ხნობითი შემოსატანი არის **სამი მანეთი** და **ხუთი შაური**, გარდაცვალებულის ოჯახს-კი მიეცემა შემწეობა **ხუთას მანეთამდის**.

დამფუძნებელ წევრთ, რომელთაც ჯერ არ შემოუტანიათ ხვედრი ფული, მაისის თვის გასულამდის უნდა შემოიტანონ, წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულ იქნებიან წევრობიდამ. (10—8)

---

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

ამხ. „ცოდნის“ მიერ გამოცემული შემდეგი წიგნები:

№ 1 „ქრისტინე“ მოთხრობა ე. ნინოშვილისა . . „ 20 კ.

« 2 „ბუნების საოცარი მოვლენანი რუბაკინისა . . „ 15 კ.

და ახლად გამოცემული წიგნი

« 3 **ამბები ინგლისის ისტორიიდან** მე-XI საუკუნიდან მე-XIX საუკუნის დამლევამდე ა. ბიკოვისა, თარგმანი კ. ს. ჩხეიძისა, ფასი 1 მ. უმთავრესი საწყობია ქ. ბათუმში სპ. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში, რომლის ადრესიც არის შემდეგი: Въ Гор. Батумъ, Спир. Челидзе. ვინც თითო წიგნისას ათ-ათ ცალს დაიბარებს ერთად, დაეთმობა 25%. (6—349—3)

---

# ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით იუწყება საყოველთაოდ, რომ მაისის 22 ნაშუადღევის 1 საათზედ მის თანადასწრებით იქნება ვაჭრობა, რომელზედაც გაიცემა იჯარით ქალაქის მამული, ზომით 726,3 ოთხ-კუთხი საჟ., რომელიც იმყოფება მე-10 საპოლიციო უბანში, ტფილისის ტამოჟნის პირდაპირ, საცა ეხლა შეშისა და საშენ მასალის საწყობია ფრანც ამირალოვისა.

პირობის შეტყობა შეიძლება ყოველ სადა დღეს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე გამგეობის მეოთხე განყოფილებაში. (3—6.—3)

---

# ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა წლის 22 მაისს, შუადღის 12 საათზე, გამგეობის თანადასწრებით, **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც გაიცემა უსუფთაობსის მილის გამართვა მიხეილის ქუჩაზედ. სიგრძე—60,00 საჟენი, სიგანე—სიმაღლე—0,42×0,28. სამუშაო 1,400 მანეთისაა.

ვისაც ვაჭრობა ჰსურს, იმან უნდა მიჰმართოს გამგეობის საამშენებლო განყოფილებას ყოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა, დილის 9-დგან ნაშუადღევის 3 საათამდე. (2—6.—2)

---



**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**

## „ოდოზრინი“ მ. ვ. ლეზედევისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ზებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (33—6.—10)

---

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

## ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოელისა ფასი 10 კ.

და

## მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

---

**წერაკითხვის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:**

| | | |
|---|---|---|
| საუმაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილმს | „ | 30 |
| საქართ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ. | 1 | 40 |
| Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ | „ | 60 |
| საღიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა | 1 მ. | „ |
| მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა. | „ | 30 |
| ყოველის მხრიდგან. არბოელისა. | „ | 10 |
| ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა | „ | 50 |
| ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი | ,, | 15 |
| ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა | ,, | 15 |
| ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი | ,, | 5 |
| ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა | ,, | 30 |
| აბო ტფილელი, ე. კ. | ,, | 30 |
| Або Тифлисскій, Е. К. | ,, | 5 |
| Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ | ,, | 60 |
| გიორგი და მიხეილი | ,, | 10 |
| რ. აბაშიძისა | ,, | 60 |
| დ. გაბრუაშვილისა | ,, | 25 |
| მელის წიგნი, კ. თაყაიშვილისა | ,, | 40 |
| მუშათა კითხვა | 15 | ,, |
| მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. პ. ყორხოშვილისა | 1 | ,, |
| მოძღვრებანი, ი. გამრეკელისა. | ,, | 40 |
| Древній Анчисхатскій соборъ. Карбеловъ | ,, | 20 |
| ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანისა | ,, | 40 |
| შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა | ,, | 30 |
| ჩანგი, ვ. აბაშიძისა | 1 | ,, |
| ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა. | | |
| Царица Тамара, М. Джанашвили | ,, | 50 |
| ცისარტყელა, ავ. ცაგარელისა | ,, | 30 |
| ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა | 1 | ,, |
| Характеристики и воспоминанія Г. Туманова | ,, | 50 |
| დედა, ანდერსენისა | ,, | 8 |
| დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი | 1 ,, | მ. |
| დაუჯდომელი წმ. ნინოსი | ,, | 20 |
| Двѣ святыны въ Кахетіи, Е. К. | ,, | 10 |
| Давидъ Гареджели, Е. К. | ,, | 15 |
| ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა | ,, | 15 |
| ელენე, მოთხრობა | ,, | 5 |
| Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили | ,, | 40 |
| Назрѣвшій вопросъ, Е. К. | ,, | 20 |
| ოცი წლის წინედ, გ. წერეთლისა | ,, | 5 |
| Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ | ,, | 3 |
| ამბავი მაღლის ქვისა | ,, | 5 |
| აკიდო საყმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ. | ,, | 15 |
| ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი | 1 მ. ,, | 50 |
| ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი | ,, | 40 |
| ბენია. | ,, | 10 |
| ბუნების საოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა | ,, | 15 |
| ბაში-აჩუკი, აკაკისა. | ,, | 30 |
| ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა 1 მ. | ,, | 30 |
| გლეხი-კაცის ისტორია, III - IV ტ. 1 მ. | ,, | 20 |
| აღმზრდელი, აკაკისა | ,, | 5 |
| გასართობი | ,, | 10 |
| გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა | ,, | 15 |
| გუსტავ ვაზა | ,, | 5 |
| პატარა ლორდის თავგადასავალი | ,, | 30 |
| პატრა ვეფხვის ტყაოსანი. | ,, | 25 |
| რამას განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილისა | ,, | 40 |
| სიტყვიერების თეორია, ეპ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისა | 1 | ,, |
| სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანისა. | ,, | 60 |
| ავრო დღესასწაული | ,, | 25 |
| Въ Барсовой кожѣ, Мкинвари | 1 р. | ,, |
| ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლისა. | 3 | ,, |
| Заслуги Грузинскаго монашества, Е. К | ,, | 30 |
| თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი | 1 | მ. |
| თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა | ,, | 40 |
| თამარ-დედოფლის სამკაული | ,, | 10 |
| თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძისა | ,, | 50 |
| ისტორია ქართულ სტამბებისა | ,, | 15 |
| იანიჩარიდ., ნახუცრიშვილისა. | ,, | 40 |
| კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II არ. ქუთათელაძისა | ,, | 60 |
| სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი | 1 | ,, |
| სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ-სა | ,, | 30 |
| საუმაწვილო ამბები, ეკ. გაბაშვილისა. | ,, | 50 |
| სუმბული, ს. ქვარიანისა. | ,, | 20 |
| ტარტუფი, თარგ. ივ. მაჭავარიანისა | ,, | 50 |
| უგვლავთა დაღადებანი, მ. ჯანაშვილისა | ,, | 15 |
| მეცნიერებისთვის წამებულნი | 1 | ,, |
| Мцхетъ и его Соборъ, А. Натроева | 1 | 50 |
| ნელო და პატრაში, თრ. ელ. წერეთლისა | ,, | 10 |
| ნათელა, აკაკისა | ,, | 30 |
| ნიკოლოზ ნიკოლაძე, ზ. ჭ—ისა | ,, | 20 |
| ნამდვილი სამსახური პოტაპენკოსი | ,, | 40 |
| Новая постановка педагогическаго дѣла | ,, | 20 |
| სამი პოემა, ან. ფურცელაძისა. | ,, | 50 |
| სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა. | ,, | 5 |
| საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა, ი. გოგებაშვილისა | ,, | 10 |
| სახუმარო გასართობი | ,, | 10 |
| ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელისა | ,, | 50 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა | ,, | 20 |
| ქართული მწერლობა, მ. ჯანაშვილისა | ,, | 40 |
| ქეთო და სონა, საყმაწვილო მოთხრობა | ,, | 5 |
| ქართველების გათათრება, ზ. ჭ—ისა | ,, | 25 |
| კოპერნიკიდან დარვინამდე | ,, | 10 |
| კანდელი, მ. ღლაშვილისა | ,, | 15 |
| Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К. | 1 р. | 50 к. |
| Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели | 30 | ,, |
| კუბიკები ქართულის ანბანისა | 1 მ. | 20 |
| ლექსები განდეგილისა | ,, | 50 |
| ევდოშვილისა | ,, | 50 |

---

## О грузинскомъ и русскомъ АЛФАВИТАХЪ,

წერილი იაკობ გოგებაშვილისა, დაიბეჭდა ცალკე წიგნაკად და ისყიდება თბილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში და სხვაგანაც; ქუთაისში ბეჟანიშვილთან. გაიგზავნა აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქებსა და დაბებშიც. ფასი ყველგან ერთი აბაზი. (3—3)

---

# ამხ. „ვერეიჩევი და კამენმახერი“

ღირს-ქმნილი თვისის სტამბის საქმეთათვის ბათუმში 1901 წლის კავკასიის საიუბილეო გამოფენის **მედლისა**

და გაზეთ „Тифл. Лист.“-ის ფრიად სასიამოვნო მოწონებისა (№ 277, 1901 წ.) აუწყებს ყველას, რომ მიხეილისა და ნემცების ქუჩის კუთხეში, სლივიცკის სახლში გაჰმართა

# სტამბა და სახაზავი,

რომელნიც მოწყობილია ტეხნიკის ყოველ მოთხოვნილებისა თანხმად და ამიტომ შეეძლება ყოველ-გვარი სასტამბო და სახაზავი სამუშაო შეასრულოს ყოველ ევროპიულსა და აქაურს ენაზედ

## კოხტად, სწრაფად და იაფად

23 მარტიდგან სტამბის კანტორა ღიაა ყოველ-დღე. სტამბაზედ მოშორებით მცხოვრებნი მუშტარნი არ შესწუხდნენ სტამბაში მოსვლით, ,,ვერეიჩევისა და კამენმახერის‘‘ ამხანაგობას მრავლად ჰყავს მოსამსახურე ხალხი, რომელნიც სურვილისამებრ ეახლებიან და მიიღებენ მუშტართაგან საქმეებს. ტელეფონი № 852. (25—309—19)

---

# ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 მაისისათვის 1902 წლისა.

**აქტივი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. კასა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) | | 23212 | 52 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში | | 100 | — |
| III. ,, ,, ა) ,,ფრიდონოვისა და ამხ.‘‘ საბანკო კონტორაში | | 100 | — |
| IV. პირობა დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ. | | 1000 | — |
| V. სარგებლიანი ქაღალ. საზოგადოების საკუთვნონი: ა) უზრუნველ-ყოფილნი: | 1760—76 | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილნი: | 7927— | 9687 | 76 |
| VI. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი | | 6309 | 49 |
| VII. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი | | 279267 | 30 |
| VIII. სოლო-ვექსილით გაცემული სესხი, უზრუნველ-ყოფილი უძრავის ქონებით | | 500 | — |
| IX. პროტესტ-ნაქნარი თამასუქებისათვის გაგზავნილი | | 1050 | — |
| X. განაღდება ვადიან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხ. | | 1971 | 75 |
| XI. გირაოთი გაცემული სესხი: ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ. | 14672— | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. | 18274— | | |
| გ) საქონელზედ | 21080— | | |
| დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარმ. | 5779— | 59805 | — |
| XII. დასაბრუნებელი ხარჯი | | 155 | 85 |
| XIII. მოწყობა და მომართვა | | 2316 | 64 |
| XIV. კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) | 50914—62 | | |
| ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) | 9792—35 | 60706 | 97 |
| XV. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი | | 244 | 98 |
| XVI. სხვა-და-სხვა დებიტორები | | 542 | 94 |
| XVII. მიმდინარე ხარჯები. | | 5689 | 50 |
| ბალანსი | | 452660 | 70 |

**პასივი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 811 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულის 10%-გან | | 87366 | — |
| II. სათადარიგო თანხა | | 7354 | 46 |
| III. შემოტანილი ფული: ა) მიმდინარე ანგარიშით | 119275—93 | | |
| ბ) ვადით | 125897— | | |
| გ) უვადოდ | — · — | 245172 | 93 |
| IV. გარდასაცემი თანხა. | | 2569 | 48 |
| V. გარდასახდელი სარგებელი | | 561 | 85 |
| VI. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა | | 36 | 88 |
| VII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე 12 და 13 §§-ის თანახმად | | 716 | — |
| VIII. გადასაცემად მიღებული თანხა | | 675 | — |
| IX. კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) | 11725—28 | | |
| ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) | 32181—93 | 43907 | 21 |
| X. გადანაღდება თამასუქებისა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში | | 27130 | — |
| XI. განაღდ. თამასუქ ტფილ. საკომერც. ბანკში. | | 20000 | — |
| XII. წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლებისა | | 2868 | 98 |
| XIII. წაუღებელი დივიდენდი 1901 წლისა. | | 4214 | 71 |
| XIV. მიღებული სარგებელი | | 9687 | 20 |
| XV. მოგება და ზარალი 1902 წლისა | | 400 | — |
| ბალანსი. | | 452660 | 70 |
| პასუხის-მგებლობა 811 წევრისა 10%-იან შემოსატან გარდ. | | 786294 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება | | 15000 | — |
| თამასუქები საკომისიოდ. | | 2595 | 95 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 мая 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.